

ში კი დარღვეულია 16 ათასი ქვევა მიწა, დანარჩენ ადგილებში ნაწილობრივ დაწყებულია მიწის დარღვევა. აი შორაპნის მასშტაბით მოხდა მიწების გადაცემა და უწყებებმა დაიწყეს მიწის დარღვევა, რომ ეს დაიწყეს. ეხლა შეიძლება მხოლოდ წინასწარი მზადება და როცა შეიძლება მინდორში გასვლა სამუშაოთ, უწყებებმა მომზადებული არის, რომ დაჩქარებული ტემპით აწარმოოს ეს მუშაობა და მე დარღვეული ვარ, რომ ეროვნების დახმარებით ამ დარღვევს მიმდინარე წლის განმავლობაში დავასრულებ. ეს არის ფაქტობრივი მხარე, ხოლო შენგელაის კი გონია, რომ საკმარისად დეკრეტები გამოცემით მიწის გადაცემაზე და მიწა ხალხს გადაეცემა. ასეთ დეკრეტებს სცემენ ბალსევიკები გლეხობის დასაცავად და მხოლოდ მაგრამ ჩვენ ვიცით, რა შედეგებსაც მიიღწევენ თავის ქვეყანაში. იმთ აგრარული საკითხი სრულიად არ გადაწყვეტილია, მხოლოდ შეიტანეს ცხოვრებაში დიდი არე-დარევა და ნი-დაგი მოუზადეს ანარქიის და შეიძლება რესტრუქციონის მომავალში. ასეთი აგრარული რეფორმის გატარების საქმე.

ასეთივე ცოდნა საქმისა გამოიჩინა ბ. შენგელაიშ მამ-ს, როცა ის შეეხო სატყეო მეურნეობას და გვიხსენებდა, რომ ხარჯები უფრო მეტი იქნება, ვიდრე შემოსავალი, მაგრამ ამის თქმა შეუძლებელია მას, ვინც საქმეს გაუგებრობდა. ბ. შენგელაიშ ანგარიშს არ უწყის იმას, თუ როგორი იყო სატყეო მეურნეობა წინეთ, სანამდე ჩვენ დამოკიდებული ვართ მთელს საქმეზე, რომ მთელი ქუთაისის გუბერნიის სატყეო მეურნეობა სახელმწიფოს ხარჯად აქვდა დასრულებული და როცა კი, მხოლოდ ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ რაიონებში აქვდა ისეთ მცირე შემოსავალს, რომ ამასზე ლაპარაკი შეუძლებელია და ამ საქმის გამოსწორება. სატყეო მეურნეობის სათანადო საფუძველზე დაყენება არ არის ერთი თვის საქმე, ამისათვის დიდი მუშაობა არის საჭირო, საჭირო არის მთელი რიგი ისეთი ღონისძიებების გაღება, ისეთ ნაბიჯების გადადგმა, რომელიც დღემდე პარობებში ფაქტობრივად მთავრობას და სახელმწიფოს არც კი შეუძლიან, ჩვენი ტყეები უმთავრესად გაშენებული არის მთებში, მთელ ადგილებში და თუ გინდათ, რომ ამ ტყეებმა სახელმწიფოს შემოსავალი მოუტანონ, უნდა გადავიწიოთ გზები და რომ გადავიწიოთ ტყის ექსპლუატაციის, გასაწვდომად აი მოგახსენოთ რა არის და რის გაკეთება შეიძლება, თქვენ შეპირება ლაპარაკობთ და მე კი მინდა თქვენი პირადი მხარდა მთელი საქმის ფაქტობრივად დასრულების. გამობრძანდით და გვიჩვენეთ ის ღონისძიებანი, რომელიც მოგეცემს საშუალებას დღესვე ამ ტყეებიდან მილიონდები გამოვიღოთ. ამისათვის ვაძნობ, საჭიროა მილიონდების დახარჯვა, ეს ტყეები დიდი სიმდიდრე არის, მაგრამ მომავალში და არა დღეს. მხოლოდ უცოდინარმა კაცმა შეიძლება სთქვას, რომ ორი მილი დღესდინა გვაქვს და რატომ შემოსავალს არ გვაძლევს. იმით არ გვაძლევს, რომ არ არის ტყეები და სხ. რაც საჭიროა ტყის ექსპლუატაციოდ. საერთოდ უწყებებმა ყოველგვარ საშუალებას დაუშლეს, რომ შემოსავალი გადიდდეს. და თუ შევადარებთ წარსულ წლების შემოსავალს, დავინახავთ, რომ შემოსავალი თანდათან მატულობს. (შენგელაიშ: კურსი?) კურსიც რომ მივიღოთ მხედველობაში, მაინც დავინახავთ, რომ დღეს მეტი შემოსავალი გვაქვს, ვიდრე წინათ. მე არ ვიცოდი, რომ აქ ყველაფერს შეეხებოდით, თორემ მოვიტანდი ციფრებს, რაზე არის დამყარებული შენგელაიშის განცხადება? არ არის მართალი ეს ცნობა თითქოს ჩვენ გვქონდა შემოსავალი 9 მილ. მან., გასავალი 24 მილიონი მან. ეს მართალი არ არის. მართალია, მე აქ ციფრები არ მომიტანია, მაგრამ თუ გადახედვით დამფუძნებელ კრების დადგენილებებს, რომლითაც ყოველ უწყებებს ეძლევა 1/12 მიწისფრების, დანახავთ, რომ ასეთი დიდი თანხა არ არის დახარჯული და არც შეიძლება დახარჯულიყო. ეს მისი ცნობა გაუგებრობაზე არის დამყარებული.

(გაგრძელება იქნება).

სოფელ-თათართა უახალესი გაყოფა.

მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ქორდანიამ 11 თებერვალს შემდეგი დებულება მიიღო აღმოსავლეთის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის თათარებისგან.

ჩვენ, აზერბეიჯანის რეპუბლიკის სამხრეთ დასავლეთის ნაწილის მკვიდრებს, მაშინ, როდესაც ჩვენ უცდიდით ტფილისის კონფერენციის მუშაობის დამთავრებას, რომელმაც

თავს იღვა სომხეთ აღმოსავლეთის მთავრობის მშვიდობიანის გზით გადაჭრა. კვლავინდებურათ განუწყვეტლოვ თავს გვესხმინა სომხეთის სახლგარეშე მადარი, რეგულიარული ნაწილები. არაფერს ვაბობთ იმაზე, რომ ამერიკულ პალკოფინციის დელი-ს და შელლი-ს ნახიჩევანში ყოფნის დროს სომხები ს. ს. ერეს თავს დაესხნენ, მაგრამ იძულებული ვართ თქვენ მალა-ალმუტებულს მოვხსენოთ იმ თავდასხმების შესახებ, რომელიც გამო ჩვენ ძალიან დაგზარალებით: 1) 1920 სელს 6 იანვარს ს. პარაგას სომხები სხვა სომხებთან ერთად სოფ. ბალახს დაეცენ 3 საათის ბრძოლის შემდეგ ს. ბალახს განადგურეს მოკლული ჩვენ მხრით 15 კაცი, 50 ქალი და 25 ბავშვი. თავდასხმელთა შორის ზანგეზურელი სომხებიც იყვნენ; 2) 16 იანვარს: დღეს, დღის 9 საათიდან სომხებმა ზარბაზნების სროლა აუტყუხეს სოფ. ჩივას (შარუსის-მხარა) 1 საათის ბრძოლის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, რადგან ჩვენ დასმარება მოგვივიდა მეზობელ სოფლებიდან. აქ ჩვენ მოგვკლეს 3 კაცი 3) 8 იანვარს ბეილუკ ვედიდან: დავაღწე მიმავალ ჩვენებს სროლა აუტყუხეს. საერთოდ ამ ბოლო დროს სომხები თავებდურათ იტყვიან; 4) 22 იანვარს 10 სომხმა თავს დაესხა ორ-დღეობაში მიმავალ ებუხანტებს, რომელთაც ვერებით ხორბალი მიჰქონდათ თან. ჩვენ მხრით მოკლულია 3 და წარათვის 21 დატვირთული ვირი და 1 ცხენი; 5) 23 იანვარს სომხები თავს დაესხნენ აღმოსავლეთ სოფლებს, მოკლეს 5 კაცი, გარეყეს 600 ცხენი და გზაში წაიყვანეს 2 ქალი; 6) 23 იანვარს სომხები დაეცენ სოფ. კარაიფის, შულს, ბეიის და ტი-ხაი მ. მ. მინავე პოზიციებს. მოკლეს 2 და დასტურეს 3 კაცი; 7) 23 იანვარს სომხებმა შეუტყეს სოფ. ორინივს. 2 საათის სროლის შემდეგ უკან გაბრუნდნენ; 8) 23 იანვარს: ეს არის ეხლა მივიღეთ ცნობა, რომ სომხებმა სროლა დაუწყეს ს. ს. ჩივას და ზარაბიეს. მოველი თქვენ განკარგულბას; 9) 21 იანვარს. ორდღეობაში: სომხების დიდი ძალებმა, დაახლოებით 300 კაცამდე, სოფ. აზას აღება სცადეს; მაგრამ დახმარება მოგვივიდა და სომხებს უკან დაგზავნიეთ მოგვკლეს 2, დაგვკლეს 1.

ამ თავდასხმებით სომხები ცდილობენ, ჩვენც გამოგვიყვიონ და ამავე დროს კი პრესაში გაჰყვიან, რომ ვითომ ყველაფერში ჩვენ ვართ დამამარცხელი და ჩვენ ხელთ მყოფ სარწმუნო ცნობებიდან ჩანს, ეს თავდასხმები წინასწარ განზრახვის ხასიათისა და მოწყობილია, არა მცხოვრებთა ან ცალკე ბრბოების მიერ, არამედ ფაქტობრივ, რომ სომხეთის მთავრობას მოეხსენებოდა, როდესაც ეს თავდასხმები მზადდებოდა.

გაუწყებთ რა შემომოყვანილს გთხოვთ, თქვენო მალა აღმტებულბაზე, მცხოვრებთა გამოყოფად მდგომარეობაში შეხვდეთ და სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისთვის უარი არ გვითხრათ და მიიღოთ ზოგები სახლგარეშე სომხების ასეთ საქციელის შესაწყვეტათ. ჩვენი მოთმინება განუსაზღვრელი არ არის, თუ ზომები არ იქნება მიღებული ჩვენ ვიდრე ბელს მომავლისთვის პასუხისმგებლობაზე. გვიჩვენეთ, როგორ მოვიტყუთ ასეთ საპასუხისმგებო დროში.

ბეჭატევი, ხელდასოვი, მიმედ-ზადე, ხალოვ-ზადე, მარ-ფანაზას, ზადე ტაშაი ბეჭატევი, ჯალმუს გენ-ფუხერნაბადი.

თათარ წარმოადგენლების პრილგა.

(დასასრული)

ტფილისის მხარა. გ. კილასონია აღნიშნავს, რომ თემის უფლებრივი მდგომარეობა სრულიად გამოურყვევლია. დაარსების დროს თემებს მიიღეს ისეთი უნიშვნელო თანხა, როგორც არის 2500 მან. ავანსად და მეორე 2500 მან. სეხის სახით. ამიტომ თემი იძულებული იყო შემოეღო წიგნდროშული გადასახადი სასმელი მოვაჭრე დაწესებულებებზე და აგრეთვე მიემართა სასურსათო ობერაკებისათვის. სასურსათო ობერაკის წარმოებაში თემს ხელი შეუშალა სამხარეო ერობის მხრით ცუდი ხარისხის სურსათის მოწოდებამ და ისიც ხშირად მეტად ძვირ ფასებში. ზოგიერთი საქონელი ეხლაც უსარგებლოთ აწყვია საწყობებში. ფანანსიურა კრიზისის ისეთი დღე იყო, რომ თემები ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდნენ, ასე წარმოიდგინეთ, რომ სპექტაკლებიც მოაწყვეს თემის გამგეობის წევრთა მონაწილეობით. ასეთი საშუალებით მიღებული ფულებით დამატებითი ჯამაგირს აძლევდა თემი მილიციას. თემის დამოკიდებულება სამხარეო ერობასთან გამოურყვევლია.

სამხარეო ერობა რაღაც მოსაშვალე ინსტანციით გადაიქცა ერთის მხრის თემსა და მეორეს მხრით მთავრობის და ერობათა კავშირის შორის.

მეორე წარმომადგენელი ტფილისის მხარისა თავსუკავილი აღნიშნავს, რომ თემის და სარაიონი მილიციის უფროსის შორის არანორმალური დამოკიდებულებაა. სარაიონი მილიციის უფროსი ხშირად ერევა თემის საქმეში, არ არის გამორკვეული აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეებთან დამოკიდებულების საკითხი. ისინი ხშირად ერევიან თემის და მის გამგეობის განკარგულებაში.

შეკითხებიდან გამოიჩნება, რომ თემის უფროსი წევრი ერთდროულად დაცოფის ტენდენციის მხარეში არ არის. ტფილისის თემების წარმომადგენელთა ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც ასეთი დაქუცმაცების წინააღმდეგ ლაპარაკობს. თემს აქვს თავისი ხარჯთ აღრიცხვა, რომელსაც ის ცნობისათვის უგზავნის სამხარეო ერობას. სამხარეო ერობა ძალიან ნაკლებ დახმარებას უწევდა თემს მისი სამოქმედო კომპეტენციის გამოკვეთაში. ქუთაისის მხარა, მოხსენებელია მებრძობების ამბობს: თემი მოწყობილია სოფლის საზოგადოების ფარგლებში. პირველად მოეწყო მ. ი. თემი. შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა. თემის და სამხარეო ერობის ურთიერთობა კარგია. კონფლიქტებს ადგილი არა აქვს. ქუთაისის მხარა თემის მუშაობის მხრეგ სამ რაიონათ შეიძლება გავყოთ. პირველ რაიონში დიდი ხანია, რაც მუშაობა წარმოებს და საქმეც კარგათ არის დაყენებული, მეორე რაიონში, სამი თვეა, რაც თემი არსებობს, მესამე რაიონში კი, ოკრიბა-ნიმონთში ძლივს და ეწყობა ახლა. სამხარეო ერობა და თემი შეთანხმდნენ აღმინსტრაციის საფუძველზე თემისადმი დამორჩილების საქმეში. სასკოლო საქმე წინადადებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. ბევრ ადგილას თემების ინიციატივით გაიხსნა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, შექმნილია და გვარად გზებს ვაკეთებდნენ. თემი იძულებულია ხანდახან სასამართლოს საქმეებში ჩაეროს, რადგანაც უკანასკნელი ჯერჯერობით არ სდგას შესაფერ სიმადლებზე. სასამართლო დახმარებაში ხალხისთვის თემს უარის თქმა არ შეეძლო, ამით ის მხოლოდ სახელს გაიტეხდა და დობას დაკარგავდა.

სოფლისფრული დამარცხება სუსტი იყო, რადგანაც საქმით რიცხვი აგრანობებისა არ მოგვემოხდოდა. იანვრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნა სამხარეო წიგნების ინიციატივით თემების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც მრავალი საჭირო ზორობა საკითხები გაარჩი. თემის უფლებრივი მდგომარეობაში მწვავე კამათი გამოიწვია ყრილობაზე. სამი მიმდინარეობა დაიხსნა ამ საკითხის შესახებ. ერთი მითხროვდა თემის უფლებების გაფართოებას, მეორე არსებული მდგომარეობის დატოვებას, მესამე კი არსებული უფლებების შევიწროებას ხოლო საბიუჯეტო უფლებების დატოვებას.

თემის სოფელთან აკავშირებენ ხმოსნები. ყოველ სოფელში არის სასოფლო კომისარია, რომელიც თემის გამგეობისაგან არის დანიშნული ეს თანამდებობა უფასოა.

თავდაპირველად თემს სახსარი არ ქონდა გარდა იმ სამი ათასი მანეთისა, რომელიც მას მიეცა ავანსათ სამხარეო ერობიდან. შემდეგ ზოგიერთმა თემებმა შემოიღეს სამხარეო ვაჭრობის გადასახადი და სხვ. სანიტარული გადასახადის აკრეფის შემდეგ სამხარეო ერობა მიეშველა თემებს და თემის გამგეობა ჯამაგირით დააკაყოფილა. თემი ბეგრავდა ხალხს, განსაკუთრებით სასკოლო საქმეებისათვის. ხალხი ამ დაბეგრვას იღებდა და არავითარ გამწვავებას აქ ადგილი არ ქონია. რაიონული მილიციის უფროსის თანამდებობის არსებობა ყველა თემებს არ მიანიჭათ სპირით. თემების ყრილობაზე გამოტანილ იქნა დადგენილება რაიონული მილიციის უფროსის ინსტრუქტის გაქუცმაცისა.

თათბირმა შემდეგ იქონია მსჯელობა სათემო დებულების ძირითად პრინციპების შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილებანი:

თემთა წარმომადგენლების თათბირის დადგენილებანი.

- ძირითადი პრინციპები სათემო დებულებისა.**
1. ადგილობრივი მართველობა ორ საფეხურია: მხარის და სათემო.
 - შენიშვნა: იქ, სადაც თემი რამოდენიმე სოფელსადან შედგება უნდა იქნეს გამოიშვავებული უფლებრივი ნორმები, რომელიც უზრუნველყოფენ იქ წესიერ მართვა-გამგეობას.
 2. თემის ტერიტორია უნდა შეფარდებულ იქნას ყოველ სოფლის საზოგადოების ფარგლებთან. სოფლების გადაჯგუფება და თემების გაყოფა შესაძლებელია, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

3. თემის მმართველობა ნაწილობრივ განმარკვეული და აღმასრულებელი ხელისუფლებათ.

4. განმარკვეული ხელისუფლება ეკუთვნის თემის სამკოს, აგებული წარმომადგენლობითი პრინციპზე საყოველთაო და პარდაპირის საარჩევნო წესით.

5. თემის მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის გამგეობას. გამგეობა კოლლექტიური დაწესებულებაა და მუდმივად მოქმედი. გამგეობაში ერთი არის თემის თავი, მეორე მისი მოადგილე, დანარჩენი გამგეობის წევრები.

6. მხარის ერობა არის ადგილობრივი მართველობის მეორე საფეხური, აგებული წარმომადგენლობის პრინციპზე პარდაპირი საყოველთაო საარჩევნო წესით.

7. თემის მოქმედების კანტროლს კანონიერობის მხრით უწევს საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება. თემის სამკოს საყოველთაო დადგენილებანი (დადი სესხებზე, კონცესიებზე, თემის ქონების დიდი იჯარებზე და სხ.), რომელიც სათანადო დებულებაში იქნება აღნუსხული, საჭიროებენ მთავრობის დასტურს, რომელიც უნდა მოხდეს მხარის ერობის წინასწარი დასკვნის შემდეგ.

8. სამხარეო ერობას აქვს თავის დამოუკიდებელი ბიუჯეტი, სამხარეო მართველობის განსახადების საგნებზე თემი აწესებს განსაზღვრულ პროცენტს თავის სასარგებლოდ. თემს უნდა ქონდეს დამოუკიდებელი საბიუჯეტო უფლებანი.

დავაშები.

(საქართველო, დეკემბერი 1920)

ფრანგული პრესა.

„პტი პარიზიენმა“ მოათავსა შესანიშნავი წერილი ფანანსიურ და ეკონომიურ საკითხების შესახებ, რომელიც მეტად აინტერესებს, როგორც საფრანგეთს, აგრეთვე ინგლისს და რომელთა შესახებაც ეხლა ლონდონის კონფერენციებზე თათბირობენ. საფრანგეთის თვალსაზრისი საფუძველზე გარკვეულია. 1919 წლის პირველ 11 თვეში ინგლისიდან გამოიტანა 6324 მილიონი და შევიტარა კი იქ 1263 მილიონი. რადგანაც ჩვენ ნახსენებ ვაჯლია, ამიტომ იძულებული ვართ ვიყილოთ ინგლისისაგან 13 მილიონი ტონა ნახშირისათვის უნდა გადავიხადოთ 1500 მილიონი ფრანკი. ჩვენ იძულებული ვართ სრუტის იქითა მხარედან შევიძინოთ 2,200 მილიონის ძაფი, მატყლი და ქალაღი 300 მილიონის თუჯი, რკინა, ფოლადი და მექანიკური მანქანები. ვაჭრობის მდგომარეობაში ასწია ინგლისური ვაჭრებმა, რომელმაც 27 ფრანკიდან დროებით ზავამდის აიწია 48-დის და 1920 წ. თებერვალში კი 70 ფრანკამდის. აქედან გადმომდინარეობს შეთანხმების შეკერის აუცილებლობა მეორეს მხრეგ უნდა მოვაწესრიგოთ ამერიკის ვალის გადახდის ვადები. ეს ვალები უმთავრესთაგან დამომდინარეობს ომის დროს მიღებული, რომელიც ჩვენ მუდამ გვქონდა და დამატებითი თანხის დასაწყისში დასავლეთში მართლ ჩვენი ჯარები იყო მზათ. ჩვენ გავიწყვით თითქმის ყველა მიწის მუშა, მალარობის მომწვავე და ხელოსანი, რათა ფრონტი გაგვემარებია. იმ მიწებზე, რომელზედაც ომი ხდებოდა იმყოფებოდა ჩვენი ლითონის ჩამოსხმელი ქარხნები და ნახშირის მალარობი. მაშასადამე ჩვენი წარმოება შეჩერდა. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის განადგურება მეტად ამცირებს ჩვენ წარმოებას და გვაიძულებს დიდ იმპორტს მივმართოთ. აუცილებელია, განსაკუთრებით დღეს, როდესაც გერმანიის მიმართ უნდა ვაწარმოოთ მტკიცე და გარკვეული პოლიტიკა, რომ ჩვენი სოლიდარობა განსაკუთრებით გამოტყუდეს ეკონომიურ და ფინანსურ საფუძველზე. „პტი პარიზიენი“ შემდეგ მიმართავს საერთაშორისი სესხის საკითხსა და საერთაშორისო სავალდებულო კომისიის იდეას...

ერთა ლიგის საბჭო ოთხშაბათს შეიკრიბება ლონდონში, საბჭომ უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: 1) შევიტაროთ ერთა ლიგაში შესვლის; 2) საბჭოს საქმის წარმოების; 3) სარის ოლქის; 4) დანცინგის უმაღლეს კომისარის დანიშვნის; 5) უმაღლეს ინტერნაციონალურ სასამართლოს დაარსების; 6) წესის და რკინის გზებისა; 7) საერთაშორისო ორგანოს დაარსებისა და 8) ერთა ლიგის გარანტიების შესახებ პოლთანეთის მცირე ერებისადმი.

ლიონის რადიო-სადგურიდან.

ბერლინიდან იუწყებიან საფრანგეთიდან გერმანულ სამხედრო ტყვეების დაბრუნების შესახებ დაბრუნებულთა რიცხვი 127000 კაცს უდრის; აქედან 1900 ოფიცერი.

დღეს დავით კლდიაშვილის ღვთაპატივობის იუბილეა

საქართველო

(დ. კლდიაშვილის)

მთიდან წყარო მოჩუბნუბებს,
მოკამკამებს, მოაშურებს,
შეხვევს ჰვანტავს აქეთ-იქით
და მინდორ-ველს ზედწაქურებს.

წინწკლებს ესტონის ყვავილებსა,
ჟღერებს თვალს და ყურებს,
ფხვიერ მიწას ჟღერებულებს
ქერისა და ყანის პურებს.

არც სხვა ნათესობას სტოვებს,
თითქმის ყველა ბალახეულს
ისე უფლის ძირში, ღერში,
როგორც სითბო-კაცის სხეულს...

იმ ჩუბნუბა წყაროს ჰგავს
შენის კალმით, შენის ენით,
სულს და გულს რომ გვიფაქვებს
ხან წყრომით და ხან მოლხენით...

მართალია შენ ერთნაირად
დაგვიწყეს ღედა-ენა,
მაგრამ მაინც აქეთ-იქით
შენი გრძობა, შენი სენა.

ცივი ჭვენიანი ქებას ქარმა
თავის წყაროდ ვერ გაქცია,
შენი ძალა შენს მიწაზედ
სწორედ გსურდა დაგვიქცია.

და ასედაც მოიქცეო, —
ვაშა, ჩვენი ტყბილო ძია...
სალამს გაძღვეს საქართველოს
რესპუბლიკის რედაქცია.

მ. მღვიმელი.



დავით კლდიაშვილი

დ. კლდიაშვილს

გინაროდეს!
შენმა სატრფომ მიმოფხრიწა კუჭნის თალხი
და სალხინო წითელ კაბით
მოდის, მოსდევს შენი ხალხი!

ეს სატრფოა საქართველო,
და ხალხი კი—მთელი ერი!
შენ კი მისი მოამაგე
მისებრ მხნე და მშენიერი.

და დღეს, როცა ზეიმს გინდის
შობორკილო საქართველო,
როს აღდგომის ზარსა რეკავს
შენი წმინდა სამლოცველო,
როს თოვლის მ.გავს შენს ქალასს
სიყვარულით სღაღნავს ერა,
და მხრე სხივთა გვირგვინს გიქოსავს,
მზე ჩახახა, მშენიერი,
მეც ტაშს გიკრავს,
მეც ქულს გინდის,
შენს ღიღებას მეც ჟმღერა!

მაშ, გილოცავ, რომ შენს სულსაც
შემოეხსნა კუჭნის თალხი,
და სალხინო წითელ ღროშით
თავს გიმშენებს შენი ხალხი!

გ. ქუჩიშვილი.

დღევანდელ ზაფხულს

მწერლობა დიდი მძიმე მოვალეობის საქმეა
ყოველ ნიჭიერი ხელაწერის მსახურსადავს
ადვილი თქმა-მწერალი ფანტაზიის, წარმო-
დგენის კაცია, მის ფიქრსა და ოცნებას საზ-
ღვრის არა აქვს; თავის სამფლობელოში რო-
გორც უნდა ისე ინვაზირებს...

შეიძლება ეს ასეც იყოს მგონისათვის...
მაგრამ სხვა მდგომარეობაშია მოთხრობის
მწერალი.

ვისაც არ უფაქრია სინამდვილის გამოსახვა
სხვის, გარეშეს წინაშე, მას არ ძალუძს წარ-
მოიდგინოს, თუ რამდენად თავს შეკავებუ-
ლად უნდა ჰგონობდეს მოქმედების დროს
შტეტური ნიჭის პატრონი მოთხრობის მწე-
რალი.

ძნელია ზომიერების დაცვა ასეთ საქმეში...
არ უნდა უღალატო სინამდვილეს. გადაჭარ-
ბებას, უსამართლო დამცარებას უნდა ერი-
დო. შეგატყობენ, დაგძრავენ: ნიჭი არ შეე-
ძარბაო.

თან მწერლის ვალი, ხალხის სიყვარული
გადაღებებს არაფერი დაჭარბო, ყველაფერი
სთქვა.

ხარ ორ ცეცხლ შუა...
მაგრამ რჩეულნი, ზეგარდმო ნიჭით ცხე-
ბულნი საკვირვალად ახერხებენ ამ დაბრკოლე-
ბის ძლევას.

მით არ ჰღალატობს შენა. მათ ჰხელმძღვა-
ნელობს მუდამ სილამაზე, მშენიერება თვით
შლაზათი აქმყაში ჩასახული.

იშვიათი თვალის, მახვილი ყური აჩენს მიმა-
ლულ სილამაზეს.

ასეთი ბედნიერი ნიჭის პატრონია ჩვენი
მღვიმელი იუბილარი...

ის არ დაბადებულა მგონათ, რომ თავისუფ-
ლად ენაგარდნა ოცნების სამეფოში...
ის არ მოვლენია საზენაო აღმადგინისა-
თვის...

ის გაჩენილა მხოლოდ ჩვენთვის, მიწიერი
ცხოვრებისათვის, თვალ-ყურის მდევნელათ,
ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ყოფა მდგომარეობის
შტეტური გამომხატველათ.

მიწას არ დაშორებია იგი არასოდეს, მაგ-
რამ იმედ დროს უმადლესი განმასპეტაკებელი
გრძნობა, ფიქრი აღძრავს ყოველთვის
ჩვენში.

აქმყოს ჩაუჭაღნა მისთვის მძლავრად ხე-
ლი, მაგრამ მომავალი მაინც ვერ დაუფარავს...
და იმ ამიტომ მის ნაწერებში მწარე და
საგმომ სინამდვილესთან ერთად გამოსტყვივის
სამართალი მომავლის ნიშნებიც...

გულწრფელ მწერალს არ დაუფარავს ხალ-
ხისათვის მისივე ნაკლა, მისივე ავი თუ კარ-
გი, გაუწვივია დიდი განსაკუთრებული მეგობ-
რობა, მოყვარისთვის პირში დაუძარხანია.
და ჩვენც ასეთი ქცევა მისი ჩვენდამი არა

დავით კლდიაშვილი

(ბიოგრაფიული ცნობები.)
დავით კლდიაშვილი დაიბადა ს. სვიმონეთ
ში 1882 წ. პირველ დაწყებით სწავლა მიი-
ღო კერძო სასწავლებელში; შემდეგ ის გაგ-
ზავდა ქუთაის სასწავლო განსწავლში. აქ ქარ-
თული ენა თითქმის დაავიწყდა. სამი წლის
შემდეგ დაბრუნდა რუსეთიდან სამშობლო სო-
ფელში. ზაფხულის განმავლობაში იმდენათ,
მოიგონა დედა ენა, რომ ჩინებულათ ახერხებ-
და ლაპარაკს. ზაფხულს ყოველთვის სოფელში
ატირებდა. კიევში ის დაუახლოვდა ნიკო ლო-
მურს, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა
დათიკოს შეესწავლა ქართული ისტორია და
ლიტერატურა.

სწავლა დაამთავრა მოსკოვის სამხედრო
სასწავლებელში 1882 წელს და აფიცრის ჩი-
ნით გააწედა ბათუმში. აქ დიდის შრომითა
და გორაკეცებული ენერგიით შეუდგა ქართუ-
ლი ენის ცხოვრების შესწავლას. მსახურობდა
სამხ. სამს. ბათუმში 1908 წლამდე, ამ წელს
მთავრობამ სამსახურიდან გადააყენა. 1914 წ.
ხელახლად გაიწვიეს ჯარში და მთელი ომი
სამსახურში დაჰყო. ქართულ ნაწილების შედ-
გენის დროს ქართ. სათადარიგო რაზმში გად-
მოვიდა. 1918 წ. ოფიცერთა გუნდით გიგ-
ზავა ბათუმს, აქედან—აჭარის წყალზე; ბა-
თუმის დამხობის დროს უკანასკნელი გამოვი-
და ბათუმიდან მარტის 31.

მისი პირველი ნაშრომი იყო გერმანული-
დან ნათარგმნი (დაიბეჭდა ქუთ. მნათობ-
ში 1883 წ. სამსონიძის ფსევდონიმით) პირ-
ველი ორიგინალური მოთხრობა დაიბეჭდა
„მომხმე“-ში 1894 წ. აქ დაიბეჭდა თითქმის
ყველა მისი მოთხრობებიც, ცალკე გამოიცა
მოთხრობანი 1901 წ., 1911 წ. ბათუმში.

მომხმე

(დ. კლდიაშვილის იუბილე.)
ეს იყო ბათუმში, პირველი მოძრაობის
დროს, როდესაც თავისუფლების საამო სიონ
თან მოყვა სუსხიანი ქარიშხალი, როდესაც
აღიზიანოვდა-დაღმკვლელობა რეაქციის რკალი
შემოარტყა ბათუმს. საშინელი რბევა, ხოცვა-
კლება დაიწყო; ადამიანის სიცოცხლის ფასი
სრულიად დაივიწყეს რეაქციის მებაიარბტ-
რებმა... იმ დროს ბათუმში მუშათა მოძრაო-
ბას ქართველი მუშები ვხელმძღვანელობდა...
იმართებოდა ყოველ დღე მალული კრებები,
გზებოძებით, ვარჩევდით, თუ როგორ გადაგვერ-
ჩინა თავი. ასეთი კრებები ხდებოდა ჯურღმუ-
ლიან სარდაფებში, კერძო ოჯახში... ერთ
ასეთ კრებაზე ვიყავი ოჯახში, ამ დროს შე-
მოვიდა პატარა, მდაბალი, პავონებიანი კაცი.
ის, რა საშინელი იყო მაშინ ეს პავონები... ჩემ-
თან ერთად ახლად მოსულ სტუმარს ბევრი
ვერც სხვა იცნობდა. მასპინძელი მას სიამოვ-
ნებით მიეგება, სტუმარს სახეც კეთილი და
მომცინარი ქონდა, მაგრამ მე და, მგონია,
სხვაც შიშმა შეგვიპყრო: ვიფიქრეთ ალყა
შემოგვარტყეს... მაგრამ ნუ იტყვიან, ეს სტუ-
მარი ჩვენი, საყვარელი, ნიჭიერი ბელეტრის-
ტი დათიკო კლდიაშვილი გამოდგა... ყველას
თვალეში აგვიცინდა, და ჩვენი სინაურული
ფერო გორაკეცდა მაშინ, როდესაც დათი-
კომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენ
სჯა-ბაასში; მთავრად დაგვიწყო დარი-
გება, გველაპარაკა თუ როგორ საჭიროა სიფრ-
თხილი, რომ უმინოდ სისხლი არ დაიღვა-
როს, საჭიროა ბრძოლა, ამ მოძრაობას ვერა-
ვითარი ძალა ვერ შეაჩერებს, ადრე თუ გვიან
საქართველო ბოროტის აიყრის, განთავისუფლ-
დებო. და მართლაც აღსრულდა. ერი, საყ-
ვარელი დათიკოსი, რომელსაც მან შესწირა
მთელი თავისი ნიჭი, რომლის იდეალისთვისაც
მან დასთმო ყოველგვარი პირადი ბედნიერე-
ბა, განთავისუფლდა და დღეს თავის ერთ-
გულს შევიღს, მის ღირსეულს მოწიფებ-
თ ესალმება, მადლობას მიუძღვის, დაფინს გვირ-
გვინით ამკობს მის მადლიან შუბლს.
არა, უსათუოდ არსებობს ამ ქვეყნად
ბედნიერება.

პავლე.

დავით კლდიაშვილი

ამ სახელთან მკიდრით დაკავშირებულია ჩვე-
ნი ხალხის, დემოკრატიის გათვითცნობიერე-
ბა. დემოკრატია პრაქსისი, რეალური ნაწარ-
მოებში უფრო ადვილათ პოპოლარს სულიერ
საზრდოს, მის გამოხატულებას ვინემ პოეზია-
ში; ის თავის სადა, უბრალო განცდას აქ უფ-
რო ადვილათ წვდება ვინემ მხატვრულ პოე-
ტურ შემოქმედებაში, — პოეზიაში; მაგრამ ისე
სადამ, ისე მარტივთ შეხვედრულ ფერადე-
ბით განსვენებულ ეგ. ნინოშვილის შემდეგ,
არავის გამოუხატავს ჩვენი სოფლის, გლეხ-
კაცობის სიღრმეები, მისი ადათი, ზნე-ჩვეუ-
ლება, ნაკლი თუ ღირსება, როგორც ეს შეს-
ძლო ჩვენმა საყვარელმა ბელეტრისტმა დ.
კლდიაშვილმა.

ის მუდამ სოფელს [დასტრიალებდა, მასთან
სტროლიდა, იცნობდა, კიცხავდა, გმო-
ბდა მის მანვე ზნე ჩვეულებას, გმობდა სიბო-
როტე, ეტრფოდა სიკეთეს, სათნობას, სიყ-
ვარულს, რომლის ძიებაში გათვთრდა, მაგ-
რამ იპოვა კიდევ...

დავით კლდიაშვილის მწერ- ლობის შესახებ.

ქართული მწერლობა თავის დაარსების დღი-
დან, როცა კი დაარსდა პირველთა ქართულ
თეორიულ ქურნალ „ცისკარს“ გამოცემა, მას შემ-
დეგ მაგალითი არ ყოფილა, რომ ვინმე მწე-
რალს იმერეთის შესახებ რამე მოთხრობა და-
ეწეროს.

„ცისკარში“ თუ რამ იბეჭდებოდა 1852 წ.
სულ თარგმანი და 1857 წ. შემდეგდამ კი,
თუ რამ არის დაბეჭდილი, იგი სულ ქართლ-
კახელების ცხოვრების შესახებ გახლდათ და-
წერილი. ამ გვარათ, ქართული მწერლობა
და თვით ქართველი საზოგადოებაც ძირულ
ნაკლებად იცნობდა იმერეთის ყოფა-ცხოვრე-

